

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის (007/20)¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ლილი ნოდია (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი კლიენტს უწევს საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო საქმეზე და წარმოადგენს მის ინტერესებს სასამართლოში. ადვოკატს სურს იურიდიული მომსახურების შეწყვეტა, თუმცა კლიენტს ვერ უკავშირდება, რადგან ის არ პასუხობს სატელეფონო ზარებს, უგზავნის სმს შეტყობინებებს, ადვოკატისთვის ცნობილ მისამართზე არ იზარებს გზავნილებს. ადვოკატს სურს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებაც. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ მალე საქმეზე სასამართლო სხდომა ჩაინიშნება. ასეთ შემთხვევაში, როგორ მოიქცეს ადვოკატი, ამასთან, აცნობოს თუ არა აცილების თაობაზე სასამართლოსაც?

ანალიზი

ადვოკატმა თავისი ინიციატივით წარმომადგენლობის შეწყვეტისას უნდა დაიცვას პროფესიის მარეგულირებელი ნორმა, რისი მიზანიცაა თავიდან იქნას აცილებული კლიენტისადმი ზიანის მიყენება. ადვოკატ-კლიენტის შეთანხმება მოიცავს მათ შორის კომუნიკაციის ფორმაზე შეთანხმებასაც. თავის მხრივ, კლიენტის საუკეთესო ინტერესების წარმოდგენას არ უნდა აფერხებდეს კლიენტთან კომუნიკაციის არქონა. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ კლიენტს არ აქვს კომუნიკაცია ადვოკატთან, არ ინტერესდება თავისი საქმის მიმდინარეობით. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა, კლიენტის ინტერესების სრულყოფილად წარმოდგენა შეაფერხოს, რაც მოიცავს საქმისწარმოების დროს მისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, საპროცესო მოქმედებების მასთან შეთანხმებით განხორციელებას, სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლობას. კომუნიკაციის არქონისას, კლიენტთან საქმის წარმართვის სტრატეგიის თაობაზე შეთანხმება ვერ ხორციელდება და თუ აღნიშნული კლიენტისგან გამოწვეული მიზეზითაა, ფერხდება სრულყოფილად მისი ინტერესების წარმოდგენა. ადვოკატს შეუძლია კლიენტს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მისთვის კლიენტისგან მიწოდებულ მისამართზე, მათ შორის აღნიშნული აცნობოს არსებობის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის და სმს შეტყობინების სახით. ადვოკატმა წერილობით უნდა განუმარტოს როდიდან წყვეტს საადვოკატო მომსახურებას და რა არის ამის მიზეზი, მათ შორის თუ შეწყვეტის საფუძველი კლიენტის ქმედების შედეგადაა გამოწვეული.

დასკვნა

ადვოკატს შეუძლია შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობა, მათ შორის კლიენტის მიერ ადვოკატთან კომუნიკაციის არქონისას, რაც დამაბრკოლებელი გარემოება შესაძლოა იყოს უფლებამოსილების განხორციელებისთვის. საგულისხმოა, რომ ადვოკატმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დაიცვას ურთიერთობის შეწყვეტის დროს გასათვალისწინებელი ეთიკური ვალდებულება.

¹<https://gba.ge/pdf/5edba7f0dcba9.pdf/zepiri%20007.20.%2012.02.20.pdf>